ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/17

დაბა ქედა, 29 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ციწცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე-საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე-საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/17 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 დეკემბერი, 2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №01-06/17 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №01-06/17 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი 1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: რეზო თურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში: თეა შარაშიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე;

აქვე, განმარტა რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტს მეორე საკითხად დაემატებოდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, შესაბამისად მიზანშეწონილია საკითხის დამტება მოხდეს და დღის წესრიგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: რეზო თურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გენდერული თანასწორობის საკითხებში: თეა შარაშიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 6

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №01-06/17 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგი დამატებული საკითხის გათვალისწინებით.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (განცხადების ნომერი №12-952134411-95; 10.12.2021 წელი).

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოში საკითხის ინიცირების შედგომ მოხდა არსებული პარამეტრების გადახედვა და მიზანშეწონილია დადგენილების პროექტით წარმოდგენილ ადგილობრივი ბიუჯეტს დაემატოს შედეგი სახის ხარჯები:

	პროექტის დასახელება	თანხა	განმარტება	შენიშვნა
	2	3	4	7
	მუნიციპალიტეტის საკრებულო	178 400	(17 7320 შრომის ანაზღაურება, 1180 შტატგარეშე)	
	დაბის ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	21 500		
	ამბულატორიული მომსახურება	8 660	საწვავი	
	ხაბაზების უბანში სასმელი წყლის აუზის მოწყობა	27 000		
	სახლების მშენებლობა	86 833		
		322 396		

მომხსენებლის მიერ საკითხის წარმოდგენის შემდგომ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ითხოვა განცხადების გაკეთება. პირველ რიგში მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი. ვიდრე ბიუჯეტთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებდა ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს გადასცა ფოტოსურათი და აღნიშნა, რომ ფოტოსურათი რამოდენიმე დღის წინ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ,,ფეისბუქ გვერდზე“ მერიის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსს გზების ინტენსიური გაწმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ფოტოებიდან იყო ატვირთული, რომლის ლოკაციის დადგენა ვერ ხერხდებოდა (აღნიშნული არ განეკუთნებოდა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას). მისი თქმით რამდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა გზების გაწმენდა ისეც ნათლად ჩანდა, თუმცა ფოტოსურათების განთავსებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერია გზების გაწმენდით სამუშაოებს სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფოტოებით გვამცნობს.

რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გაწმენდით სამუშაოებს დანამდვილებით შეეძლო თქმა რომ გზების გაწმენდა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც შეეხება წარმოდგენილ ფოტოსურათს აღნიშნულს პრესსამსახურთან გაარკვევდა.

შემდგომ დავით სირაბიძემ ისაუბრა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებზე მომატებული თანამდებობრივი სარგოების თაობაზე, რასაც მათი წინასაახალწლო განწყობის შექმნის მიზეზი უწოდა და წუხილი გამოთქვა პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს 80 და 90 ლარის მატებასთან დაკავშირებით , რაც საჯარო მოხელეთა შეურაწმყოფად მიიჩნია, ვინაიდან ამ ადამიანების დამსახურებით მუშაობს ნებისმიერი საჯარო სტრუქტურა და ფაქტიურად ვინც ნამდვილად ზღვა საქმეს წევს საჯარო სექტორში იმ თანამშრომელთა სარგოს ამგვარი ,,მატება“არც სამართლებრივ და

არც ადამიანურ ჩარჩოში არ ჯდება. ამასთანავე ქვეყანაში არსებული პანდემიის ფონზე, როცა სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისია და მედიკამენტების ფასი საგრძნობლად მომატებულია ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას არ მიიღებდა და მხარს არ დაუჭერდა 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტს, ამიტომ პროტესტის ნიშნად ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრებმა სხდომა დატოვეს (12:25 სთ.)

პარტია ,,გახარია-საქართველოსთვის" წევრმა ჯემალ დავითაძემ უკმაყოფილება გამოთქვა თანამდებობის პირთა სარგოების მატებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული გაძვირებული ცხოვრების ფონზე და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა (12:30 სთ).

სხდომის თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ საკრებულოს ოპოზიციის წევრების მიერ სხდომის დატოვების შესახებ განმარტა, რომ ეს არ იყო მათი მხრიდან მართებული საქციელი, რადგანაც ისინი ამით შურაწყოფას აყენებდნენ მათ ამომრჩევლებსაც. რაც შეეხებოდა ბიუჯეტის პროექტს ის ხალხის კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული და იმედი გამოთქვა, რომ ბევრი დადებითი საქმე გაკეთდება ქედის მუნიციპალიტეტში 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით მოქალაქეთა სასიკეთოდ. აქვე აღნიშნა, რომ მერიასთან ექნებოდა აქტიური თანამშრომლობა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდი ბერიძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თანამშრომლობისათვის და სხდომაზე დამსწრეთ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის მიერ წარმოდგენლი დამატებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -1 (გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №).

2. **მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.**

მომხსენებელმა როლანდ ბერიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (განცხადების ნომერი №12-95213631-95, 29.12.2021 წელი.) და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საჯარო სამსახურში თანამდებობრივი სარგოს საბაზისო განაკვეთის ცვლილება, რომელიც შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად - 1100 ლარს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 1 (გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №11).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა რეზო თურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (განცხადების ნომერი №95-95213622, 28.12.2021 წელი).

მომხსენებელმა განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №50 დადგენილებისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადდება და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების მიღება, რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს დაკავებული პოზიციის დასახელება, საჯარო მოხელეთა იერარქიული რანგები, ასევე თანამდებობრივი სარგო

სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა (12:50).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №12).

4. მოისმინეს: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა თეა შარაშიძემ საკრებულოს წევრებს მიულოცა დამდეგი შობა ახალი წელი და წარუდგინა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი №12-95213546-95, 20.12.2021 წელი).

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

,,ქალთა ოთახების გაერთიანება“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ს/ნ 448057094), რომლის მიზანია ქვეყნის მასშტაბით, 32 თვითმმართველ ერთეულში არსებული 32 მუნიციპალური „ქალთა ოთახის“ გაძლიერება, მათი კორდინირებული მუშაობის და ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი ღია სივრცე და საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი. ,,ქალთა ოთახი'' აქტიურადაა ჩართული თვითმმართველობის გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებაში, სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში. ქალებს აღნიშნულ სივრცეში შეუძლიათ ჩაატარონ შეხვედრები, წამოაყენონ ინიციატივები, ისარგებლონ ქალთა ოთახის სერვისებით და მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო საკითხებზე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხი ძალიან მაღალ დონეზე დგას და წარმატებები უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95213632).

5. მოისმინეს:„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი №12-95213558-95, 21.12.2021).

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წელში ამბულატორიული მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული იქნა ერთი ერთეული მოძრავი ქონება, კერძოდ: ავტომანქანა ნივა - VAZ 212140 (ნივა) სახელმწიფო ნომრით VL241VL. რომლის ღირებულება შეადგენს 35 000 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარს. დღეის მდგომარეობით დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლის სამედიცინო ამბულატორიას არ ყავს ავტომობილი და ამ ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მცხოვრები ადამიანები ვერ სარგებლობენ სამედიცინო პერსონალის ოჯახში მისვლით და ამბულატორიული მომსახურებით.

აქედან გამომდინარე გადასაცემი ქონება განკუთვნილი არის დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულში სოფლის ამბულატორიებიათვის, მათი ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95213631).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:30 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**